უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 20.03.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დამთავრების დრო: 17:50
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკოლოზ კიკნაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი **(საბჭოს თავმჯდომარე)**;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
3. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
4. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
6. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
7. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **(საბჭოს მდივანი)**;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობის ხელმძღვანელი;
10. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნონა ზუმბაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი სეუ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	I, II
2	პაატა შურღაია	შპს სასწავლო უნივერსიტეტი სეუ	პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	ანა ქვათაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი სეუ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	I, II
4	თენგიზ თაქთაქიშვილი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი სეუ	პროგრამის ხელმძღვანელი	II
5	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	III
6	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
7	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დავით ასლანიშვილი	მონაწილეობა მიიღეს	I
2	ნათელა გიორგაძე		I, II
3	ანა მიხელიძე		I, II
4	ნინო ზარნაძე		II
5	მანანა ლობჟანიძე		III
6	ეკატერინე გეგეშიძე		III
7	ნინო ტალიკაძე		III
8	გოჩა თუთბერიძე		IV
9	მაია მორგოშია		IV

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის შესახებ" (შემდგომში აკრედიტაციის დებულება) 27^{2}-ემუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭო თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^{5}-ემუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 25 თებერვალი, №28
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ფინანსები
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[5]	

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი[6]	საქართველო, ქ. თბილისი, 0144,წინანდლის ქუჩა N9.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ასლანიშვილმა განაცხადა, რომ მთლიანობაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული პროგრამა იმსახურებს აკრედიტაციას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული რეკომენდაციები, რომელიც ძირითადად ეხება პირველ და მეორე სტანდარტს. მან საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. კერძოდ,

პირველი სტანდარტი - 1.1. კომპონენტის რეკომენდაციაა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა და ადმინისტრაციამ გაატაროს რიგი ღონისძიება პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის ჩართვის კუთხით. ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში, როგორც ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანდა საუბარი იყო 16 სტუდენტზე, რომლებმაც მიიღეს გარე მობილობაში მონაწილეობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაცვლით პროგრამაში არ ყოფილა ჩართული არცერთი „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი. გადასადგმელია რიგი ნაბიჯები, როგორც სტიმულირების კუთხით ასევე, სხვა საკითხების გათვალისწინებით. მეორე რეკომენდაცია ამავე კომპონენტში არის შემდეგი: პროგრამის მიზნებსა და ამოცანებში ნათლად გამოჩნდეს საფონდო და კაპიტალის ბაზართან ბმა ქვეკონცენტრაციის მიხედვით. დაწესებულების არგუმენტირებულ პროზიციაში აღნიშნული იყო, რომ რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რჩევის სახით, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს, რადგან უნივერსიტეტს გააჩნია ცალკე „საბანკო საქმის“ , „მენეჯმენტის“ და „ფინანსების“ პროგრამები, „ფინანსების“ პროგრამა თავის შინაარსში მოიცავს 3 ქვეკონცენტრაციას, კერძოდ, აღრიცხვა-აუდიტის, საბანკო საქმის კონცენტრაციებს, რაც შეეხება მესამე კონცენტრაციას, რომელიც მოიცავს საფონდო-

[6] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

კაპიტალის ბაზარს, პროგრამის მიზნებში კარგად არ არის ასახული აღნიშნული კონცენტრაციის ფოკუსირება და ბმა პროგრამასთან.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტს. კერძოდ, ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში გასაწერია საინვესტიციო/ანალიტიკური/საბანკო (არა კომერციული ბანკის კუთხით) მიმართულება. ექსპერტის მოსაზრებაა, რომ „ფინანსების" პროგრამაში განცალკევებული სახით უნდა იყოს წარმოჩენილი საინვესტიციო-საფონდო საკითხები, იმისათვის რომ პროგრამის მესამე კონცენტრაცია არ იყოს სისტემიდან ამოვარდნილი.

მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტში რეკომენდებულია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის განვითარების პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართულობა. დაწესებულებაში არის დამსაქმებლებთან ურთიერთობა, თუმცა როდესაც ინტერვიუს დროს ჰკითხეს დამსაქმებლებს იცნობდნენ თუ არა პროგრამას, გარკვეულწილად დაფიქსირდა ინფორმაციის ნაკლებობა. შესაბამისად უმჯობესია უნივერსიტეტს და დამსაქმებლებს შორის იყოს უფრო მეტი კომუნიკაცია, იმისათვის, რომ უფრო ეფექტური იყოს მათთან სტუდენტების პრაქტიკა ან სამომავლო დასაქმება. სტანდარტის 2.3 კომპონენტში რეკომენდირებულია ფინანსების (კაპიტალის ბაზარი, ინვესტიციები, ფინანსური ანალიტიკა) ქვეკონცენტრაციის მიმართულებას დაემატოს უშუალოდ ამ საგნებზე პასუხისმგებელი აფილირებული პროფესორი. ასევე, ამავე კომპონენტში რეკომენდებულია მოხდეს საგნების ყოველკვირეული დატვირთვის გავლა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ერთობლივი ჩართულობით, რომ აცილებულ იქნას რიგი საკითხის რამდენჯერმე გამეორება. აღნიშნული რეკომენდაციები ეხება პროგრამის მესამე კონცენტრაციას, სადაც დაწესებულებას ჰყავს ორი მოწვეული ძლიერი სპეციალიტი, თუმცა არცერთი არ არის აფილირებული. ასევე, ინტერვიუს დროს აღმოჩნდა აღნიშნული, რომ ორი პედაგოგი არ იცნობდა ერთმანეთს და მათი სილაბუსების მიხედვით დატვირთვა რიგ შემთხვევაში ემთხვევა რიგ კვირეულ დატვირთვას. უმჯობესია დაწესებულებამ იმუშაოს აღნიშნულ პირებთან, ერთ-ერთ მათგანს მიანიჭოს აფილირებულის სტატუსი და ისე მოხდეს საგნების გადანაწილება, რომ ადგილი არ ჰქონდეს გადაფარვას და იდენტურ კვირეულ დატვირთვას.

სტანდარტის 2.4 კომპონენტში რეკომენდებულია საერთაშორისო აკადემიურ თუ გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებების შესასრულებლად და ამ ფორმატის გასაძლიერებლად, უცხო ენის კვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომ სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს სწავლა/ლექცია/სემინარის უცხო ენაზე წარმართვა და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს პროგრამა საკმაოდ ძლიერად აქვს წარმოდგენილი და ამასთან დაკავშირებით კითხვა არ აქვთ ექსპერტებს. მენეჯმენტს და ხარისხის სამსახურს თეორიულ დონეზე ყველაფერი კარგად აქვს გამზადებული, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების დროს უცხო ენის დონეს და მის გამოყენებას. აღნიშნული, ასევე გახლავთ სავარაუდოდ იმის მიზეზი, რომ საერთაშორისო გაცვლით აქტივობებში ჩართულობა არის დაბალ დონეზე. ასევე, დამატებით რეკომენდირებულია გაფართოვდეს პროგრამის სამეცნიერო პოტენციალი ქვეყნის მასშტაბით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა უნდა მოიცავდეს საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციებს და „იმპაქტ" ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატია/კვლევის გამოქვეყნებას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააჩნია საკმაოდ ძლიერ ფინანსურ/მატერიალურ/ტექნიკური ბაზა, შესაბამისად რესურსი პრობლემას არ წარმოადგენს. უნივერსიტეტს ასევე, დადგენილი აქვს გეგმა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებისა, სადაც გამოიხატა საკმაოდ დიდი სხვაობები პროფესორ-მასწავლებლებს შორის. შესაძლებელია დაწესებულებამ დაუსახოს გეგმა აკადემიურ პერსონალს, რომ წელიწადში ორჯერ მაინც ადგილობრივ ჟურნალებში გააფართოვონ თავიანთი სამეცნიერო აქტივობა. შესაბამისად აღნიშნული მიმართულება არის გასაძლიერებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ქვათაძემ უნივერსიტეტის საერთაშორისო სტრატეგიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომლის უფროსი ანვითარებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, მათ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში წარუდგინეს მოქმედი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. რაც შეეხება „ფინანსების" პროგრამის სტუდენტების ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, იგეგმება დამატებითი აქტივობები და ღონისძიებები. ამჟამად, როდესაც გამოცხადდება გაცვლითი პროგრამა, სტუდენტებს დამატებით დაუფინანსდებათ საცხოვრებელი ხარჯები და მიეცემათ სტიპენდია. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა ჩაატარა კვლევა, სადაც გამოკვეთა, რომ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თავის არიდების მიზეზს ძირითადად წარმოადგენდა ფინანსური საკითხი. შესაბამისად, დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა რექტორთან შეთანხმებით გაატარა რიგი ღონისძიებები აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად. გარდა ამისა, ფართოვდება უნივერსიტეტების ჩამონათვალიც, რომლებთანაც გაფორმდება ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები, ასევე სამომავლოდ გადაწყდა, რომ რამდენიმე უცხოელი პროფესორი ეწვევა უნივერსიტეტს და როგორც „ფინანსების" ასევე, „მენეჯმენტის" პროგრამის სტუდენტებს ჩაუტარებენ ლექციებს, თუმცა აღნიშნული აქტივობა შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლოა გადაიდოს მიმდინარე წლის სექტემბრისთვის. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ეხება აკადემიური პერსონალის მიერ უცხო ენაზე სწავლების განხორციელებას, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება ინგლისურენოვანი „ბიზნესის ადმინისტრირების" პროგრამა, ის პერსონალი, რომელიც აღნიშნულ პროგრამაში კითხულობენ ფინანსების მიმართულებით კურსებს შესაძლებელია ჩართულნი იყვნენ ასევე, „ფინანსების" ქართულ ენოვან საბაკალავრო პროგრამაშიც. დაწესებულებას ასევე, ჰყავს ბევრი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ სხვა ქვეყანაში, საქართველოში დამთავრებული აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამები. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში მათ არ ექნებათ პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა შურღაიამ განაცხადა, რომ ისაუბრებდა იმ რეკომენდაციებზე რომლებსაც დაწესებულება არ იზიარებდა, ხოლო გარკვეული რეკომენდაციებს ეთანხმებოდნენ და მათზე აღარ გამახვილდებოდა ყურადღება. პირველი საკითხი, გახლდათ კაპიტალის ბაზართან დაკავშირებული საკითხის გათვალისწინება პროგრამაში, ეს საკითხი პროგრამაში მოცემულია ირიბად რაც ასახულია პროგრამის აღწერილობაშიც, რომელშიც ნახსენებია საპენსიო მიმართულებასთან დაკავშირებული რეფორმა. საპენსიო მიმართულება საქართველოში გახლავთ ერთადერთი კლასტერი, რომელმაც შეიძლება შექმნას ინსტრუმენტი, რომელიც სჭირდება კაპიტალის ბაზრებს. თუმცა, საქართველოში კაპიტალური ბაზრების მიმართულებით არის კრიზისი, შესაბამისად აღნიშნული კუთხით პირდაპირი კონცენტრაციის ქონა არ იყო რელევანტური. შესაბამისად, გაკეთდა სტრატეგიული დათქმა, რომ კავშირი აღნიშნულ საკითხთან ყოფილიყო ირიბად წარმოდგენილი. პერსონალთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უკვე აიყვანეს კვალიფიციური კადრები. რაც შეეხება პროგრამულ გადაფარვებს, ის შეიძლება იყოს რამოდენიმე პროცენტი და მისი გამოთვლით არის დაახლოებით 3%. აღსანიშნავია, რომ თემები არის განსხვავებული და სხვადასხვა დონით სხვადასხვა ეტაპზე არის წარმოდგენილი ერთი და იგივე საკითხები ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით. რაც შეეხება ნაკლოვანებას კორპორატიული ფინანსების კუთხით, შედეგებზე გასვლა არ არის დაკავშირებული მხოლოდ პროგრამის აღწერაზე, ჩაწერენ თუ არა აღწერილობაში, ვინაიდან მთავარი საკითხია საბოლოო ჯამში შედეგზე გასვლა. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილია არაერთი რეფორმა, რეფორმები დაიგეგმა 2017 წლიდან და ჯერ არ შესრულებულა, შესაბამისად სახეზეა ბუნდოვანება აღნიშნული მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნონა ზუმბაძემ, რეკომენდაციაზე რომელიც ეხება დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან თანამშრომლობის გაზრდას, განაცხადა, რომ პროგრამამ პირველი აკრედიტაცია გაიარა 2015 წელს, ამჟამად გადის რეაკრედიტაციას, ამიტომ პროგრამის შემუშავების და გადამუშავების პროცესში მაქსიმალურად ჰყავდათ ჩართული დამსაქმებლები. მათგან მიიღეს რეკომენდაციები და გააკეთეს გარე შეფასებებიც. მოხდა კურსდამთავრებულების გამოკითხვა, გაკეთდა ფოკუს ჯგუფები და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. ასე, რომ კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ყველა შენიშვნა იქნა გათვალისწინებული. გარდა ამისა, მათ განახორციელეს

შრომის ბაზრის კვლევა და გათვალისწინებულია აღნიშნული კვლევის შედეგებიც. მიუხედავად ამისა, მიიღებენ რეკომენდაციას და მაქსიმალურად გააძლიერებენ დამსაქმებლებთან ურთიერთობას.

დისკუსია

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ დააფიქსირებდა თავის მოსაზრებას პროგრამასთან დაკავშირებით. ორივე მხარის მოსმენის შემდგომ ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტებსაც და დაწესებულების წარმომადგენლებსაც. მისაღებია დაწესებულების პოზიცია საგნების სხვა და სხვა საათებში გამეორებასთან დაკავშირებით, გასაგებია, რომ ფინანსები არ არის სტატისტიკური სასწავლო დისციპლინა, შესაბამისად შესაძლებელია ერთი და იგივე საკითხი ისწავლებოდეს სხვადასხვა ჭრილში. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე დავა არ არის მისაღები. რაც შეეხება კონცენტრაციას, ფასიანი ქაღალდების კონცენტრაციის გაძლიერებას, რაც მოთხოვნილია ექსპერტების მხრიდან, კონცენტრაცია საერთოდ რომ არ ჰქონდეს პროგრამას არ არის პრობლემა (პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე) ვინაიდან პროგრამა ამზადებს ფინანსისტს და არა ბუღალტერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯელობა იმაზე თუ რატომ არ არის ესა თუ ის კონცენტრაცია წარმოდგენილი ძლიერად, მისთვის არ არის მისაღები.

თუმცა, ამავე დროს ექსპერტების გარკვეული მოსაზრებები მისაღებია. კერძოდ, პროგრამის სახელწოდებაა „ფინანსები" და მისი ღრმა რწმენით ფინანსების ბაკალავრი უნდა ღებულობდეს დაბალანსებულ ცოდნას კომპლექსურად, ფართოდ ფინანსების მიმართულებით. ამავე დროს დაწესებულების პოზიცია იმის შესახებ, რომ გარკვეული ფინანსური მიმართულება საქართველოში არ არის სათანადოდ განვითარებული, პირველ რიგში ჩვენი აქცენტი კეთდება საქართველოს ბაზარზე, თუმცა, ამავე დროს არ უნდა ჩავუკეთოთ ბაკალავრს საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრირების შესაძლებლობა, თუ ქართულ ბირჟაზე არ არის სათანადო მოცულობით ვაჭრობა, არ გულისხმობს იმას, რომ არ უნდა ვასწავლოთ თუნდაც ამერიკის, ლონდონის, ჩიკაგოს და სხვა საფონდო ბირჟების მაგალითები. არსებობს საერთაშორისო სტანდარტი კორპორატიული და ფასიანი ქაღალდების სწავლების და თავად დაწესებულებაზე და პროფესურაზე უნდა იყოს დამოკიდებული თუ როგორ მოდელს შესთავაზებენ სტუდენტებს. პროგრამაში იყო რამოდენიმე საგანი, მაგალითად, ფინანსების საფუძვლები. მისი მოსაზრებით ფინანსების საფუძვლები აღნიშნულ პროგრამაში არ უნდა ისწავლებოდეს მოცემული სახით. კარგი იქნება იყოს შესავალი პროფესიაში, ფინანსისტის როლი ორგანიზაციაში და ა.შ.

პროგრამის მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ ფინანსისტის ტექნიკური მომზადება, მთავარია სტუდენტმა შეძლოს ფინანსური პროცესების დანახვა კომპანიაში, შეეძლოს მსჯელობა ფინანსურ პროცესებზე და ა.შ. ფინანსისტმა უნდა მიიღოს კომპლექსური ცოდნა იმისათვის, რომ შეძლოს პროცესების მართვა. შესაბამისად, კარგი იქნება თუ გადაკეთდება საგანი.

რაც შეეხება, სასწავლო კურსებს „ფინანსური მენეჯმენტი" და „კორპორატიული ფინანსების შესავალი" დაახლოებით ერთი და იგივე საგანია, ლექტორიც და ლიტერატურაც არის იდენტური. შესაბამისად, დროის ეფექტურობის თვალსაზრისით კარგი იქნება თუ ერთ საგანში გაერთიანდება აღნიშნული ორი საგანი. ასევე, მნიშვნელოვანია თუ ყველა საგანს დაემატება ეგრეთწოდებული „ქეისები" პრაქტიკული სიტუაციების გასაცნობად. ძალიან მნიშვნელოვანია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ლიზინგის საკითხები და ასევე, „საჯარო ფინანსები" უმჯობესია იყოს სავალადებულო კურსი და არა არჩევითი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პ. შ. განაცხადა, რომ თავად არის რეგისტრირებული აუდიტორი ACCA - ს სტატუსით, და არის საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის წარმომადგენელი და ხელმძღვანელი საქართველოში. ასევე, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ნათლად აღწერს თუ რას უნდა სწავლობდეს ფინანსების ბაკალავრი, პროგრამა ითვალისწინებს კორპორატიული ფინანსების კურსებს, ასევე, აღსანიშნავია, რომ არსებობს კორპორატიული ფინანსების სერთიფიცირებული კურსებიც. მათ კურსდამთავრებულებს ექნებათ უფლება სხვადასხვა საგნების დონეები ჩაითვალოს ეგრეთწოდებულ ACCA - ში. ასევე, პროფესიული სასწავლებელი არსებობს კორპორატიული ფინანსების კუთხით ფართოდ აღიარებული CFA, ყავთ მოწვეული სპეციალისტები და გაკეთებული

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

აქვთ აღნიშნული პროფესიული მოთხოვნებით განაწილებული საგნები. კონცენტრაციები მათ არ აქვთ პროგრამაში, აღნიშნული ნახსენები იყო პირობითად, საგნები განაწილებული იყო სამი მიმართულებით სტუდენტებისათვის სამომავლოდ, რომ შეძლონ დაეფლონ პროფესიულ განათლებას და მიიღონ კვალიფიციური სპეციალისტის სტატუსი შესაბამისი სერთიფიცირებით. პროგრამაში ასევე, გათვალისწინებულია რეალური „ქეისები" როგორც აუდიტის, გადასახადების, ასევე კორპორატიული ფინანსების მიმართულებით. ასევე წარმომადგენელი ვერ დაეთანხმებოდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არ უნდა ისწავლებიდეს „ფინანსების საფუძვლები" ვინაიდან მან კარგად იცის რა ცოდნა აკლია დღევანდელ დღეს კურსდამთავრებულს. ყველა პრაქტიკული უნარ-ჩვევა მათ პროგრამაში სტუდენტს უვითარდება „excel" - ის მეშვეობით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამაში „excel" გათვალისწინებული იყო არჩევითი კურსების ნუსხაში, რაც მისი მოსაზრებით აუცილებლად უნდა ყოფილიყო სავალდებულო კურსის სახით წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა შურღაიამ განაცხადა, რომ ნაწილობრივ იზიარებდა აღნიშნულ მოსაზრებას. აღსანიშნავია, რომ „excel" პროგრამაში წარმოდგენილია ორი სახით, პირველ შემთხვევაში ისწავლება საოფისე დონეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში არჩევითი სახით პროფესიულ დონეზე, თუმცა მისაღებია საბჭოს წევრის კომენტარი.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა, რა საერთაშორისო გამოცდილება გაიზიარა უნივერსიტეტმა პროგრამის კურიკულუმის შედგენისას. იგულისხმება საუნივერსიტეტო გამოცდილება. ასევე, თანამედროვე ფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიები და სასურველია თუ პროგრამაში გაჩნდებოდა ფინანსური ტექნოლოგიების კურსი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესახებ კურსი, ასევე, მენეჯმენტის მიმართულებიდან არჩევითი კურსებიდან გადმოსატანია ოპერაციათა მენეჯმენტი, რომელიც ერთ-ერთი არჩევითი საგნის წინაპირობად არის მითითებული. ასევე, ბიზნეს კომუნიკაცია ფინანსების ბლოკიდან გადასატანია არჩევით ბლოკში ან გადასამუშავებელია სილაბუსი და დასამატებელია „ქეისები"ფინანსებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა შურღაიამ განაცხადა, რომ ბიზნეს კომუნიკაციებთან მიმართებით მიღებული იყო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ საგანი ყოფილიყო სავალდებულო. ბენეფიციარებს ზოგადად დამსაქმებლებთან პირველ ეტაპზე უჭირთ ვერბალური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, არ აქვთ კომუნიკაციის უნარი. აქ ხდება წერითი კომუნიკაციის გაუმჯობესებაც და „ქეისების" ამოხსნაც. აღნიშნული კურსი თავდაპირველად იყო არჩევითი საგანი, თუმცა შემდგომ მოხდა მისი გადატანა სავალდებულო კურსებში. რაც შეეხება ანალოგებს, თავად მას, პროგრამის ხელმძღვანელს, მაგისტრის ხარისხი მიენიჭა კარდიფის უნივერსიტეტში, დიდ ბრიტანეთში, მას გათვალისწინებული ჰქონდა თუ რა უნდა გაეკეთებინა და რა პრაქტიკული უნარები უნდა გაეთვალისწინებინა, ასევე გაითვალისწინეს ქართული რეალობა და გაითვალისწინეს ლიტვის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მაგალითი. ასევე, ანალოგები გაკეთდა ACCA - ს მიხედვითაც, გაკეთდა CFA მოსამზადებელი კურსი, მეთოდოლოგიების და მიდგომების გადმოტანით. პროგრამის სრულყოფილად შედარება კი განხორციელდა ლიტვის ტურიბას უნივერსიტეტთან.

საბჭოს წევრი, ირმა წერეთელი დაინტერსდა რით აიხსნებოდა სტუდენთა რაოდენობის, როგორც ჩარიცხულთა ასევე კურსდამთავრებულთა რაოდენობის კლება და როგორ ფიქრობს უნივერსიტეტი აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ სტუდენტთა რაოდენობის კლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება 2015 წლიდან ახორციელებდა მხოლოდ „ფინანსების", „ბიზნესის ადმინისტრირების", „ტურზიმის" და „მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამებს, შემდეგ ეტაპობრივად მოხდა პროგრამების დამატება და ჯამში აქვთ 16 პროგრამა. გამოცხადდა ადგილების ნაკლები რაოდენობა, თუმცა, მიუხედავად ამისა ჩარიცხვა ხდებოდა კონკურსით. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია უნივერსიტეტში პროგრამების რაოდენობის ზრდით. ადგილების გადანაწილებამ გამოიწვია რაოდენობის კლება.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ქვათაძემ კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, კურსდამთავრებულს ენიჭება ფინანსების ბაკალავრის კვალიფიკაცია, მოხდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა, განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, ახალი პროგრამა მათი მოსაზრებით უფრო მეტად არის მორგებული დამსაქმებლების ინტერესებზე, თვლიან რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დამსაქმებლის მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს. ახორციელებენ დასაქმების ფორუმებს, აქვთ თანამშრომლობა პრაქტიკის ობიექტებთან, ატარებენ ფოკუს ჯგუფებს და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ ორი რეკომენდაცია წარმოდგენილი იყო ერთი და იგივე შინაარსით, აღწერაში მტკიცებულებების სახით მოყვანილია ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ასევე, ანალიზის დოკუმენტები. ასევე, ერთ-ერთ რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებულია უცხო ენის სწავლება, მაშინ როდესაც პროგრამის მიხედვით უცხო ენის სწავლებას ეთმობა 30 კრედიტი. ასევე, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამეცნიერო აქტივობის გაძლიერებას, საინტერესოა ექსპერტთა მოსაზრება ხდება თუ არა გამოქვეყნება და რას გულისხმობს მოცემული რეკომენდაცია. აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული რეკომენდაციის ფორმულირება.

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა განაცხადა, რომ დამსაქმებლებთან დაკავშირებით, დოკუმენტბრუნვის მიხედვით ხარისხის სამსახურს ყველაფერი რიგზე ჰქონდა, გაწეულია ძლიერი სამუშაო როგორც ფოკუს ჯგუფების ასევე, გამოკითხვების თვალსაზრისით, თუმცა ინტერვიუზე წარმოდგენილმა დამსაქმებელთა ნაწილმა საერთოდ არ იცოდა პროგრამა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ნაკლებად იყო ინფორმირებული. შესაძლო იყო გასაუბრებაზე არ იყვნენ წარმოდგენილი პირები ვინც უნდა მოსულიყვნენ და გამოგზავნილი ჰყავდათ წარმომადგენლები ან არ იყვნენ კარგად გათვითცნობირებულნი. შესაძლოა ადგილი ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემას. ასევე, ვინაიდან დასკვნის ფორმა მოითხოვდა მოხდა რეკომენდაციების ასახვა. სამეცნიერო აქტივობას რაც შეეხება, იყო მკვეთრი განსხვავება, პერსონალის გარკვეულ ნაწილს უფიქსირდებოდა საკმაოდ კარგი აქტივობა, ხოლო ზოგ შემთხვევაში სახეზე იყო სამეცნიერო აქტივობის მკვეთრი ვარდნა. სასურველია ხელშეკრულების დადებისას გაწერილი ყოფილიყო გარკვეული გეგმა. რაც შეეხება ინგლისურ ენას, რიგი სტუდენტი და აკადემიური პერსონალი საკმაოდ ძლიერად ფლობდა ინგლისურს. დოკუმენტბრუნვა არის რიგზე თუმცა გარკვეულ შემთხვევაში ფაქტი არ იყო სახეზე.

სათათბირო შესვენება 15:10

სხდომა განახლდა: 15:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭენის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ გაიზიარა და დაამტკიცა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა და ადმინისტრაციამ გაატაროს რიგი ღონისძიება, „ფინანსების" საბაკალავრო პროგრამის ჩართვის კუთხით;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებში ნათლად გამოჩნდეს საფონდო და კაპიტალის ბაზართან ბმა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამაში გასაწერია საინვესტიციოს/ანალიტიკურის/საბანკოს (არა კომერციული ბანკის კუთხით) სფეროს საკითხები;

დ) საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში უნივერსიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებების შესასრულებლად და ამ ფორმატის გასაძლიერებლად აუცილებელია უცხო ენის კვალიფიციურ დონეზე

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სწავლება, რომ სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს სწავლა/ლექცია/სემინარის უცხო ენაზე წარმართვა და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელება;

ე) უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და მათი პროფესიულ განვითარებაში ჩართვის ხელშეწყობა;

ვ) სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის სფეროში გამოსაყენებელი Excel-ის სწავლებას, არჩევითი სტატუსის ნაცვლად განისაზღვროს როგორც სავალდებულო საგანი;

ზ) სასწავლო კურსებში ,,ფინანსური მენეჯმენტი'' და ,,კორპორატიული ფინანსების შესავალი'' განსაზღვრული ლექტორი და ლიტერატურა ერთი და იგივეა, შესაბამისად რეკომენდირებულია ამ ორი საგნის ერთ საგნად მოდიფიცირება და სტუდენტების დატვირთვის ოპტიმიზაცია;

თ) იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს კვალიფიკაცია ენიჭება ფინანსებში რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს საჯარო ფინანსების საკითხებით. ასევე, დაემატოს ლიზინგის საკითხები;

ი) საგანმანათლებლო პროგრამაში დაემატოს და გაძლიერდეს ისეთი საკითხების სწავლება როგორიცაა მაგალითად: ჰეჯირება, ოპციონები, ფიუჩერსული და ფორვარდული კონტრაქტები, ექსპერტების მიერ გამოვლენილი საკითხი ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით;

კ) საგანმანათლებლო პროგრამის კონტენტი უნდა ითვალისწინებდეს სფეროში კომპლექსურ, ფართო განათლებას (საბაკალავრო საფეხურიდან გამომდინარე) და არ შემოიფარგლოს ფინანსების სფეროში ფინანსების მართვის ტექნიკური განათლებით. კურსდამთავრებულმა, მაგალითად, უნდა შეძლოს ორგანიზაციაში ფინანსებისა და ფინანსების მენეჯერის ადგილის კომპლექსური შეფასება, ბიზნეს პროცესების ფინანსური შეფასება;

ლ) უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლება, განსაკუთრებით სიტუაციური ანალიზის დამატების ხარჯზე, ბიზნეს კომუნიკაციის კურსები გადატანილ იქნას არჩევითად ან გამდიდრდეს ფინანსები პრაქტიკული მაგალითებით (ეგრეთ წოდებული "ქეისებით");

მ) საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულ იმ სფეროზე, რომელიც კავშირშია ამავე პროგრამის კვალიფიკაციასთან და დასაქმების სფეროსთან (ამ შემთხვევაში ფინანსებთან);

ნ) რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის სწავლებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნიერსიტეტ სეუს „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

2. **მეორე საკითხი** შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[7]	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[8]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 25 თებერვალი, №27
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[9]	მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური[10]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[11]	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი[12]	საქართველო, 0144, თბილისი, წინანდლის ქუჩა N9.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

---

[7] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[8] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[9] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[10] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[11] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[12] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსერტმა ნინო ზარნაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- საჭიროა დაზუსტდეს პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების არსი, რათა პროგრამის სტრუქტურა არ იყოს ბუნდოვანი და სტუდენტებისათვის რთულად აღქმადი;
- საჭიროა გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობები;
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში გაწერილ სწავლის დონესთან (ბაკალავრიატთან);
- სასურველია სტუდენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3, მუხლის 4, პუნქტი 9 და სტუდენტთა შეფასება გამოისახოს ქულებში და არა პროცენტებში;
- რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის ასამაღლებლად;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით გააქტიურება და საგრანტო სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში მეტი ჩართულობა;
- აუცილებელია უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური პერსონალის პორფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით დაფინანსების გაზრდა;
- აუცილებელია ტრენინგების/სხვადასხვა უნარ-ჩვევების ასამაღლებელი ღონისძიებების ინტენსიური დაგეგმვა და განხორციელება;
- რეკომენდებულია გარდა ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებისა, დაწესებულებამ გამოიყენოს პერიოდული შეფასების კიდევ ერთი მექანიზმი, გარე ექსპერტის შეფასება, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავინათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნონა ზუმბაძემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტის პოზიციას, იმიტომ რომ, აღნიშნული პროგრამა, როგორც დანარჩენი სხვა აგებულია ერთი პრინციპით. პროგრამა შედგება სპეციალური სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან და თავისუფალი კომპონენტებისაგან, ვიზიტის დროსაც ექსპერტს ჰქონდა კითხვა თუ რატომ შედგებოდა თავისუფალი კომპონენტები სავალდებულო არჩევითი და თავისუფალი კურსებისაგან თუ ერქვა თავისუფალი კომპონენტი. მან ექსპერტს ვიზიტის დროსაც აჩვენა, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოში პირდაპირ იყო მითითებული, რომ თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ კურსებს და იგი უნდა შედგებოდეს, როგორც სავალდებულო ისე არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. რაც შეეხება შეფასების სისტემას, შეფასების სისტემის ზოგადი ნაწილია გამოსახული პროცენტებში, დანარჩენი ჩაშლილი არის ყველა ქულობრივად. ანუ სტუდენტს, როგორც სასწავლო კურსის ელექტრონულ ბაზაში, ასევე სილაბუსში გაწერილი აქვს დეტალურად რომელი კომპონენტი რამდენ ქულას მოიცავს. პროცენტებშიც რომ ყოფილიყო არ იქნებოდა პრობლემა ვინაიდან ელექტრონული მართვის სიტემაში და სილაბუსებში გამოსახული იყო ქულობრივად, მხოლოდ ერთ შეთხვევაში იყო გასასწორებელი და შესაბამისად გაიზიარეს ექსპერტთა პოზიცია და გაასწორეს. რაც შეეხება უცხო ენის კომპეტენციის დონის ამაღლებას, სტუდენტს უცხო ენა მიეწოდება 30 კრედიტის ოდენობით, სტუდენტმა უნდა გაიაროს B1

დონიდან დარგობრივი ენის ჩათვლით 30 კრედიტი, ამიტომ მეტი უცხო ენის შეთავაზება და კრედიტის გაზრდა არ არის მიზანშეწონილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ თაქთაქიშვილმა საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ განსაზღვრულია კვლევის მეთოდები. ვიზიტის დროს ექსპერტის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ თუ სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს აირჩევდა მე-6 სემესტრში, კვალიფიკაცია მიენიჭებოდა მე-6 სემესტრში. მათ განუმარტეს, რომ სტუდენტს კვალიფიკაცია ენიჭება 240 კრედიტის გავლის შემდეგ, საბაკალავრო ნაშრომის არჩევის უფლება აქვთ მხოლოდ მე-8 სემესტრში, შესაბამისად უმრავლესი სასწავლო კურსი რაც მათ უნდა ჰქონდეთ გავლილი სავალდებულო საგნებიდან უკვე გავლილი ექნებათ, გარდა ამისა სტუდენტს თავისუფალი არჩევანი აქვს საბაკალავრო თემის, ამიტომ შესაძლებელია არ მოითხოვონ მას გავლილი ჰქონდეს სავალდებულო საგნების უმრავლესობა იმისათვის, რომ დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი. ამიტომ ამ ნაწილში არ ეთანხმებიან ექსპერტების მოსაზრებას.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის კვლევების დაფინანსებას, ვიზიტის დროსაც იყო ნახსენები, რომ მოგებული აქვთ ამერიკის საელჩოს ორი გრანტი, მიმდინარეობს ორი სახელმძღვანელოს თარგმნა და ამ ნაწილში საკმაოდ სოლიდური თანადაფინანსებით შემოვიდა უნივერსიტეტი, გარდა ამისა ყველა ვიზიტი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორების მიერ საზღვარგარეთ კონფერენციებზე, ტრენინგებზე და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებზე ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. ასევე, ფინანსდება სტატიების გამოცემა საზღვარგარეთის რეფერირებად ჟურნალებში. ასევე, პერიოდულად იმართება პერსონალის ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პერიოდულად მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტიდან იწვევენ პროფესორებს, აღნიშნული პირები ატარებენ სხვადასხვა აქტივობებს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და პროგრამის პერსონალისათვის. გარდა ამისა მოიწვიეს ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც სწავლების თანამედროვე მეთოდებზე ჩაუტარა ტრენინგი პროფესორებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროსაც იქნა წარმოდგენილი გარე შეფასების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია, რომელიც ასევე, გაეგზავნა ცენტრის წარმომადგენელს ელექტრონულ ფოსტაზე და საბჭოს წევრებს შეეძლოთ გადაემოწმებინათ. შესაბამისად, მისთვის გაუგებარია თუ რატომ ჩაიწერა დასკვნაში, რომ არ არსებობს გარე შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა ორი უზუსტობა, აღნიშნული ეხება მეორე სტანდარტის 2.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას, სადაც მოცემულია, რომ სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში გაწერილ სწავლის დონესთან შესაბამისად. დასაზუსტებელია თუ რა იგულისხმება ამ რეკომენდაციის ქვეშ და ამავე დროს აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ ჯდება მოცემული კომპონენტის ფარგლებში, ვინაიდან ამ კომპონენტში საუბარი უნდა იყოს მხოლოდ სასწავლო კურსებზე. ასევე, კიდევ ერთი რეკომენდაცია არის არასწორ კომპონენტში ჩასმული, ეხება 2.4 კომპონენტს, რომელიც ეხება პროგრამის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი აქტივობების გააქტიურებას და ჩართულობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრას დაემატა 10 წუთი იმისათვის, რომ ესაუბრათ პროგრამის ფარგლებში ინოვაციური მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით. სტუდენტებს შესთავაზეს ბიზნეს სიმულაციები, 80 სტუდენტს უკვე გავლილი ჰქონდა სიმულაციური სისტემით პრაქტიკა, ასევე, აღნიშნული 10 წუთის განმავლობაში საუბარი შეეხო შეფასების ფორმებს, მოდულებზე, თუ როგორ იყო აწყობილი სისტემა, როგორ არის გაწერილი შესასრულებელი 105 დავალება, ასევე, საუბარი შეეხო იმას თუ რატომ დადგა ამის საჭიროება, დასაქმებულ სტუდენტებს და პარტნიორებს სადაც გადიან სტუდენტები პრაქტიკას. ყოველივე ამის შემდგომ დასკვნაში აისახა ინფორმაცია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა არ იცოდა სად გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკას. შესაბამისად მან მოსთხოვა ექსპერტს რას ნიშნავდა აღნიშნული ჩანაწერი.

ექსპერტმა ნინო ზარნაძემ განმარტა, რომ ვიზიტმა ჩაიარა დაძაბულ რეჟიმში, შესაბამისად ფონი შენარჩუნებული იყო. რაც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომს, წინაპირობად მითითებული იყო კვლევის

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მეთოდები. მისი მოსაზრებით არ იქნებოდა ურიგო პროგრამაში წინაპირობად ჩაიწეროს ყველა სავალდებულო საგნის გავლა, სხვაგვარად გამოდის, რომ სტუდენტი, რომელსაც რვა სემესტრის განმავლობაში გავლილი აქვს „გამოყენებითი სტატისტიკა" და „საოფისე ტექნოლოგიები" შეუძლია დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი, რაც მისი მოსაზრებით არ არის მართებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა, როდის შეძლებდა სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.

ექსპერტმა ნინო ზარნაძემ უპასუხა, რომ მე-8 სემესტრში სტუდენტი წერდა საბაკალავრო ნაშრომს.

დაწესებულების თენგიზ თაქთაქიშვილმა დაამატა, რომ მე-8 სემესტრამდე სტუდენტს არ ეხსნებოდა საბაკალავრო ნაშრომის დაწერის საშუალება.

ექსპერტმა ნინო ზარნაძემ განაცხადა, რომ სტუდენტს შესაძლოა არ ჰქონოდა გავლილი ძირითადი საგნები ან ჰქონოდა უარყოფითი შეფასება, მაგალითად ისეთ საგანში როგორიც იყო „სტრატეგიული მენეჯმენტი" ან სხვა. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგების გაწერას, მათ ნახეს ისეთი ჩანაწერები, როგორიც იყო მაგალითად, სტუდენტი იცნობს თანამედროვე ბიზნესის არსს, განასხვავებს ბიზნეს სტრატეგიებს, მსჯელობს მათი დაგეგმვის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის აზრით მართებულია შედეგები გაიწეროს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისად. მაგალითად, ფლობს მოწინავე ცოდნას, შეუძლია თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზი და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა მიუთითა ექსპერტს, რომ ის საუბრობდა ძველი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით.

ექსპერტმა ნინო ზარნაძემ განმარტა, რომ ის ხელმძღვანელობდა ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. რაც შეეხება სტრუქტურას, თავისუფალი საგნების ქოლგის ქვეშ გაერთიანებულია ისეთი საგნები, რომელსაც ეწოდება სავალდებულო საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები და იშლება თავისუფალ სასწავლო კურსებად. სტრუქტურა ცოტა ბუნდოვანი არის როგორც ექსპერტთა ჯგუფისათვის ასევე, სტუდენტებისათვის და უბრალოდ დაჯგუფება საგნების თავისუფალ, არჩევით და სავალდებულო კურსებად იქნებოდა უფრო მართებული. რაც შეეხებოდა ინგლისური ენის კომპეტენციას, სტუდენტების მხრიდან იყო გაჟღერებული, რომ უმჯობესი იყოს გაზრდილიყო ინგლისური ენის ცოდნის დონე. მათ მოითხოვეს ინგლისური ენის სილაბუსი, ექსპერტებს არ ჰქონიათ წვდომა ინგლისური ენის სილაბუსებზე, შესაბამისად მათ ვერ გადაამოწმეს სტუდენტების პოზიცია ინგლისური ენის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ანა მიხელიძემ, განაცხადა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ სთხოვეს სტუდენტებს მათთან ინგლისურ ენაზე გასაუბრება, თუმცა მათ აღნიშნული ვერ შეძლეს და აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში ისწავლებოდა ინგლისური ენა, მათ ჰქონდათ არჩეული აღნიშნული საგანი თუმცა, ვერ შეძლეს საუბარი წარემართათ ინგლისურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტების სია, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ ინტერვიუს მათ გადაუგზავნა ცენტრმა და სიაში არჩეული იყვნენ მხოლოდ პირველი და მეორე კურსის სტუდენტები.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა თუ რომელი სემესტრის სტუდენტები ესწრებოდნენ ინტერვიუს და გარკვეული კრედიტების დაგროვების შემდეგ რა დონეზე ფლობდნენ უცხო ენას.

ექსპერტმა ნინო ზარნაძემ განაცხადა, რომ B1 დონე აძლევს სტუდენტს საშუალებას ელემანტარულ კითხვებზე გასცეს პასუხი. მათ მიერ დასმული კითხვები იყო მარტივი, გარდა ამისა იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტები დაეყრდნენ სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების პასუხებს ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, ამას დაემატა ის ფაქტორი რომ, იყო შემოსული ინგლისური ენის პროგრამის ხელმძღვანელი, რომელმაც ასევე, აღიარა, რომ სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნა მოითხოვს გაუმჯობესებასა და ასევე მათ არ უნახავათ

ინგლისური ენის სილაბუსები. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა მოთხოვნა ექსპერტების მხრიდან, რომ ინტერნაციონალიზაციის ფონზე, ინგლისური ენის კომპეტენცია გაუმჯობესებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელს სურდა კომენტარის გაკეთება დოკუმენტებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცენტრის წარმომადგენელს სთხოვდა გადაემოწმებინა შესული იყო თუ არა ელექტრონული ბრუნვის საშუალებით მასთან აღნიშნული დოკუმენტაცია, თუმცა ამას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა და უმჯობესია ყურადღება გაამახვილონ შინაარსობრივ მხარეზე.

დისკუსია

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ, განაცხადა, რომ პროგრამის დაგეგმვის დროს ის ურჩევს დაწესებულებას სისტემურად შეხედოს საკითხების არჩევას და საგნების განთავსებას, იმისათვის რომ სტუდენტმა მიიღოს სისტემური ცოდნა. ის ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტებს არჩევითი და სავალდებულო საგნების აღრევაში. პროგრამაში არის საგანი „ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში" აღნიშნული სახელწოდებით წარმოდგენილი სილაბუსით სწავლება არ არის მისაღები, უმჯობესია საგანს შეეცვალოს სახელი ან შეიცვალოს საგნის შინაარსი. საგანი მოიცავს „ოპტიმუსის" პროგრამის მართვის პრაქტიკულ კურსს, პრაქტიკული კურსი კარგია თუმცა ამავე დროს უნდა იყოს თეორიული კურსიც, იმისათვის რომ საგანი გაძლიერდეს და იყოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხებიც. თეორიული ცოდნა უნდა უკავშირდებოდეს სისტემების დანერგვას და გამოყენებას. მისი მართვის ცოდნის გარეშე სისტემა ვერ იფუნქციონირებს. ასევე სტუდენტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სხვადასხვა სისტემების შესახებ. საგანი არ უნდა იყოს მხოლოდ ოპერატიულ პროგრამაში ინფორმაციის შეყვანა და დასკვნების ამობეჭდვა. მენეჯერის ბაკალავრს უნდა ჰქონდეს სისტემური ხედვა. ასევე უნდა გაძლიერდეს ბიუჯეტირების სწავლა. ასევე მენეჯმენტში სასურველია ლოჯისტიკის საკითხების სწავლების გაძლიერება. რაც შეეხება საგანს „ბიზნესის სამართლებრივი გარემო", კარგი იქნება თუ უფრო მენეჯერის კუთხით იქნება ბიზნესის სწავლება და არა ზოგადად ბიზნესის სამართლის საკითხების კუთხით. შესაძლოა ამ საგანში ისწავლებოდეს აკრედიტირება, კონტრაქტების, გადაზიდვის საკითხები და სხვა. ანუ ის სამართლებრივი საკითხები, რომელთანაც მენეჯერს შეიძლება ჰქონდეს შეხება თავისი პროცესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება საგნებს „ფინანსების საფუძვლები" და „ფინანსური მენეჯმენტი", საგნები ძალიან კარგია, მაგრამ სავარაუდოდ არის საუნივერსიტეტო სტანდარტული საგნები შინაარსობრივად, ვინაიდან ამავე უნივერსიტეტის სხვა პროგრამებშიც მეორდებოდა. გასაგებია, რომ უნივერსიტეტი ოპტიმიზაციის კუთხით ხშირად სთავაზობს ერთნაირ საგნებს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში უნივერსიტეტის პოზიცია და სურვილი არის სხვა კვალიფიკაცია მისცეს ბაკალავრს და შესაბამისად კარგი იქნება თუ აღნიშნული საგნების მორგებული იქნება მენეჯმენტზე შინაარსის თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა, რომ „ინფორმაციული ტექნოლოგიების" საგანში გამორიცხულია თეორიული კურსი, ეს უნდა იყოს პრაქტიკული კურსი, თუმცა სალექციო პროცესში მინიმალური თეორიული ცოდნა გათვალისწინებულია სილაბუსებშიც და ლიტერატურაშიც. თეორიული საკითხების დამატება კურსდამთავრებულს არ მისცემს კონკურენტუნარიან ცოდნას სწავლის დასრულების შემდგომ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მან არ იგულისხმა საგანში მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემა, ის ხელმძღვანელობს სილაბუსით. შესაძლოა გარკვეული საკითხები თეორიული თვალსაზრისით ისწავლება თუმცა ეს აუცილებლად უნდა აისახოს სილაბუსში. ლიტარტურაში მითითებული იყო ოპერატიული სისტემების ინსტრუქცია და არა სახელმძღვანელოები. მათი დასაბუთება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია ერთმანეთთან მოდის წინააღმედგობაში, განსაკუთრებით ლიტერატურასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე უმჯობესია თუ საგანს ექნება შესაბამისი სახელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ საგნის სახელის ცვლილების მიზეზი არ არსებობს, საგანი არის ის ინფორმაციული ტექნოლოგია რასაც იყენებენ მენეჯერები. საგანს კითხულობს ერთერთი უმსხვილესი ქართული ბანკის პროექტების მენეჯერი,

რომელიც არის პრაქტიკოსი აღნიშნულ საკითხში. შესაბამისად სტუდენტებს სთავაზობენ იმ სისტემის შესწავლას რაც არის მოთხოვნადი ბაზარზე. რაც შეეხებოდა ბიუჯეტირებას, „ფინანსურ მენეჯმენტში" და „ფინანსურ აღრიცხვაში" გადიან ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რაც სჭირდება სტუდენტს იმისათვის რომ წარმატებით აითვისონ ოპერაციული სისტემები. რაც შეეხა „ბიზნესის სამართლებრივ გარემოს", გახლავთ ზოგადად ბიზნესის სამართალთან დაკავშირებული კურსი, საკითხები კონკრეტული მიმართულებებით ჩაშლილია იმ სასწავლო კურსებში რომლებსაც გადიან სტუდენტები, მათ შორის „ფინანსურ მენეჯმენტში" და „ბიზნესის საფუძვლებში". რაც შეეხება ფინანსების საფუძვლების მორგებას მენეჯერებზე, მისთვის გაუგებარია აღნიშნული ტერმინი. „ფინანსების საფუძვლებში" იფარება ის ზოგადი ცოდნა რაც ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც მენეჯერებისათვის, ასევე ეკონომისტებისათვის. შემდეგ უკვე „ფინანსური მენეჯმენტის" საგანში სტუდენტები იღებენ იმ ცოდნას რაც მათი ფუნქციების განხორციელებისათვის არის აუცილებელი.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამაში ჩართულია 8 აფილირებული პროფესორი, 18 აკადემიური და მოწვეული 40 პროფესორი. სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 610-ს. მას აინტერესებს დაწესებულების პოზიცია პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით. ასევე საუბარი შეეხო სწავლის შედეგებს, არის რთულად მიღწევადი და შეფასებადი, კერძოდ, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა. იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკის კომპონენტი პროგრამაში მოიცავს 6 კრედიტს, მას აინტერესებს როგორ ფასდება ზოგადად აღნიშნული შედეგის მიღწევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ერთერთი უპირატესობა არის აკადემიური პერსონალი, პროფესორების უმეტესობა არიან პრაქტიკოსები, რომლებიც იკავებენ წამყვან მენეჯერულ თანამდებობებს სხვადასხვა კომპანიებში. მათ აქვთ პირდაპირი წვდომა თუ რა ხდება ბაზარზე. მათთან დანერგილია პრაქტიკა, რომ აღნიშნული პირები ყოველ სემესტრულად ასაქმებენ წარმატებულ სტუდენტებს. ასევე თავიანთ კომპანიებში სტუდენტები გადიან სტაჟირებას. აღნიშნული გახლავთ პროგრამის უპირატესობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ქვათაძემ პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ შემუშავებული აქვთ აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, აღნიშნული დოკუმენტი ცენტრში გადმოგზავნილი არის აკრედიტაციის მთლიან პაკეტთან ერთად, აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტებსაც და ცენტრის წარმომადგენლსაც ჰქონდათ წვდომა აღნიშნულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე. აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული კუთხით პროგრამის მდგრადობას, ასევე აღნიშნული რაოდენობის პერსონალი საკმარისია იმისათვის, რომ მოემსახუროს გაზრდილი სტუდენტების რაოდენობასაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, სწავლებაში დანერგილია ძალიან ბევრი პრაქტიკული კომპონენტი, ეს არის ბიზნეს-სიმულაციები, ვირტუალური ორგანიზაციების სიმულაციური თამაშები, „ქეისებზე" დამყარებული შეფასებები, დანერგილია გუნდური შეფასებები და პროექტების მეშვეობით შეფასება. რაც შეეხება ავტონომიურობას, შედეგში გაწერილია, რომ სტუდენტი ახორციელებს დაგეგმვას, ხელმღვანელობას, ორგანიზებას და კონტროლს და ამ პროცესში იცნობს ეთიკურ პრინციპებს, ანუ უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ სტუდენტებმა იციან თუ როგორ ხორციელდება ოთხი მენეჯერული ფუნქცია ეთიკური პრინციპების დაცვით.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით გასაუმჯობესებელ მხარეებში წერია აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა ტრენინგებში და კონფერენციებში. ბიუჯეტში ამის შესახებ 4 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 65 000 ლარი. მას აინტერესებს აღნიშნული თანხით როგორ მოხდება ამ კუთხით გაუმჯობესება. ასევე კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, საინტერესოა რატომ გადაწყვიტა უნივერსიტეტმა მეოთხე სემესტრში აღნიშნული საგნის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების წინაპირობას წარმოადგენს გამოყენებითი სტატისტიკა, „excel"-თან ინტეგრირებული კურსი, რომელიც შემუშავდა დამსაქმებლების რჩევით, შესაბამისად გამოყენებითი სტატისტიკის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კვლევის მეთოდები ბიზნესში და გამოიყენოს შემდგომ სხვადასხვა სასწავლო კურსებში პროექტების ან დავალებების შესასრულებლად. შეფასებებში პროექტების წილი საკმაოდ დიდია პროგრამაში, ამიტომაც კვლევის მეთოდების სწავლება მეოთხე სემესტრში სტუდენტს მხოლოდ დადებითად წაადგება. რაც შეეხება ტრენინგებში ჩართულობას და მათ დაფინანსებას, თითოეული ინიცირებული პროექტი/ კონფერენცია სრულად იქნა მხარდაჭერილი და დაფინანსებული უნივერსიტეტის მიერ. გარდა იმისა, რომ პროგრამას გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, უნივერსიტეტის მიერ პერიოდულად ცხადდება საგრანტო პროექტები, სადაც პერსონალს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. ასევე უნივერსიტეტს გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც შეუძლია გამოყოს დამატებითი ფონდები. პროგრამის უკან დგას ძლიერი ადამიანური და მატერიალური რესურსი, შესაბამისად მის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ქვათაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მომზადებულია პროგრამის განვითარების გეგმა, სადაც გათვალისწინებულია აფილირებული პერსონალის გაზრდა. წელიწადში ორჯერ უნივერსიტეტი აცხადებს აკადემიურ კონკურსს, შესაბამისად როგორც მენეჯმენტის ასევე ფინანსების მიმართულებით მათ უკვე გაზრდილი ჰყავთ აკადემიური პერსონალი.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა მიმართა ექსპერტს და განაცხადა, რომ საუკეთესო პრაქტიკაში აღნიშნული ჰქონდათ საგამოცდო პროცესის კომპიუტერიზაცია და ავტომატიზაცია, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების იმპლემენტაცია საგამოცდო პროცესში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას. თუმცა ამავე დროს გაწერილია რეკომენდაცია შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. მას აინტერესებს რით არის გამოწვეული აღნიშნული გარემოება.

ექსპერტმა, ნინო ზარნაძემ განაცხადა, რომ შეფასების სიტემაში იგულისხმებოდა რომ შეფასება ასახული იყო პროცენტებში, რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკას ვიზიტის დროსაც აღინიშნა, რომ ტექნოლოგიური პოტენციალი რაც გააჩნია დაწესებულებას ნამდვილად მოსაწონია და ხელს შეუწყობს განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა სავალდებულო საგანზე „ბიზნესის სამართლებრივი გარემო". მან აღნიშნა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო რამოდენიმე პროგრამა ამავე უნივერსიტეტის სადაც აღნიშნული საგანი ზოგ შემთხვევაში იყო არჩევითი ან სავალდებულო. ასევე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახელწოდებით, მაგალითად, „ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება". პირველ რიგში გასარკვევია უნდა არსებობდეს თუ არა საგანი „ბიზნესის სამართლებრივი გარემო" ასეთი სახელწოდებით, თავად კურსის შინაარსი მისი მოსაზრებით აუთვისებელი არის სტუდენტისათვის, კერძოდ, სამართლის არის, სამართლის წყაროები, ნორმატიული აქტების იერარქია, ფიზიკური პირი როგორც სამართლის სუბიექტი და ა.შ. ერთ სილაბუსში ისწავლება სამართლის მთელი რიგი დარგები, რაც არის პრაქტიკულად წარმოუდგენელი. ასევე არასწორად არის მითითებული ლიტერატურა. მეოთხე ლექციად გათვალისწინებულია სანივთო და ქონებრივი სამართალი, რომლიც სამართლის ფაკულტეტზე ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში. ასევე გათვალისწინებულია ვალდებულებითი სამართლის საფუძვლები, რომელიც ისწავლება ორი სემესტრის მანძილზე. სტუდენტებს უმჯობესია ასწავლონ ხელშეკრულების ტიპები და ის საკითხები რაც გამოადგება მენეჯერს და არა სამართლის დარგები, რომლის ათვისების შანსი ერთი სილაბუსის ფარგლებში არ არსებობს. ასევე მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს აეხსნა სილაბუსის ავტორისათვის, რომ ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი არ არის შრომის სამართალი. შრომის სამართალი გახლდათ ცალკე დამოუკიდებელი სამართლის დარგი. ასევე წარმოუდგენელია სტუდენტმა საგადასახადო სამართალი ისწავლოს ერთ ლექციაზე. შესაბამისად სილაბუსი ვერ გავა დასახულ შედეგზე. მისი თხოვნა არის გამოსწორდეს სილაბუსი. ის რეკომენდაციაში აღნიშნავს თუ რა უნდა ისწავლებოდეს აღნიშნულ სილაბუსში. ასევე მნიშვნელოვანი

საკითხია, რომ ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტი არ უნდა კითხულობდეს ბიზნეს სამართალს.

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა, რომ ითვალისწინებდა შენიშვნას და აუცილებლად სილაბუსის ავტორებთან ერთად მოხდებოდა სილაბუსის და კურსის შინაარსის კორექტირება.

სათათბირო შესვენება16:20

სხდომა განახლდა:16:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭენის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში საჭიროა დაზუსტდეს სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების არსი, რათა პროგრამის სტრუქტურა არ იყოს ბუნდოვანი;

ბ) საჭიროა გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა, რომლის შედეგად საბაკალავრო ნაშრომზე იმუშავებენ დამამთავრებელ კურსზე მყოფი სტუდენტები;

გ) სტუდენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან, კერძოდ სტუდენტთა შეფასება გამოისახოს ქულებში ნაცვლად პროცენტებისა;

დ) რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის სწავლებასთან დაკავშირებით;

ე) უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და მათი პროფესიულ განვითარებაში ჩართვის ხელშეწყობა;

ვ) რეკომენდებულია გარდა ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებისა, გამოიყენოს პერიოდული შეფასების კიდევ ერთი მექანიზმი, გარე ექსპერტის შეფასება, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს პროგრამის განვითარებას;

ზ) საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულ იმ სფეროზე, რომელიც კავშირშია ამავე პროგრამის კვალიფიკაციასთან და დასაქმების სფეროსთან (ამ შემთხვევაში მენეჯმენტთან).

თ) გადამუშავდეს სასწავლო კურსები ,,საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტი", „ბიზნესის სამართლებრივი გარემო'':

ი) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს მმართველობითი აღრიცხვის, CRM-ის, ბიუჯეტირების სწავლება, ვინაიდან ამ საკითხების ცოდნა აუცილებელია სხვა საგნების დასაძლევად მაგ: ,,საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში'';

კ) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს ლოგისტიკის საკითხების სწავლება;

ლ) გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლება, განსაკუთრებით სიტუაციური ანალიზის განხილვით;

მ) დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

რჩევები:

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ა) სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ბ) გაუმჯობესდეს კომუნიკაცია ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს შორის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნიერსიტეტი სეუს „მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში მონიტორინგის განხორციელებით.

3. მესამე საკითხი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[13]	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[14]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 26 ნოემბერი, №220
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[15]	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[16]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი

[13] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[14] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[15] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[16] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[17]	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი[18]	საქართველო, 1400, გორი, ჩერქეზიშვილის N1, სასწავლო კორპუსი N3.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა მანანა ლობჟანიძემ განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული იყო ერთი რეკომენდაცია.

- ინტერნაციონალიზაციის მიზნით მიზანშეწონილია დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტები საერთაშორისო მობილობებში თუ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში გამოირჩევა უფრო მაღალი აქტივობით ვიდრე სტუდენტების. გაცვლითი პროგრამით ისარგებლა მხოლოდ ერთმა სტუდენტმა, შესაბამისად რეკომენდაციის მიზანი სწორედ ის არის, რომ გაიზარდოს სტუდენტთა მობილობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა დასკვნასთან დაკავშირებული პოზიცია.

---

[17] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[18] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მიდოდაშვილმა განაცხადა, რომ იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და სამომავლოდ მოხდება სტუდენტების მოტივაციის გაზრდაზე მუშაობა.

დისკუსია

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ კითხვა აქვს როგორც ექსპერტებთან ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან. მას აინტერესებს რატომ არის მნიშვნელოვანი „სოციალური ეკონომიკის", „სოციალური პოლიტიკის" სწავლება პროგრამაში. მას აინტერესებს ორივე მხარის ინტერპრეტაცია და პოზიცია.

ექსპერტმა ეკატერინე გეგეშიძემ განაცხადა, რომ როდესაც შეამოწმა პროგრამა, მაღალი დონის ეკონომეტრისაკასთან ერთად საკმაოდ კარგად იყო სოციალური პროცესები პროგრამაში გაწერილი. მას პირადად ძალიან მოეწონა, მაშინ როდესაც სოციალური პროცესები მოდის წინ და სახელმწიფო მმართველობის, ბიზნესის და ეკონომიკის მართვის მხრივ უკეთესად უნდა იყოს დანახული. პროგრამა არის საკმაოდ მსუყე, არ ელოდებოდა ამ დონის ხარისხს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით აღნიშნულ უნივერსიტეტში. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ კარგად არის წარმოდგენილი პროცესები პროგრამაში. ასევე მათემატიკური მოდელირებაც კარგად არის წარმოჩენილი.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ შესაძლებელია არ იყოს გამოყენებული სიტყვა „სოციალური" და ჩვეულებრივი ეკონომიკა იყოს წარმოდგენილი. შეიცვლება თუ არა ამითი რამე.

ექსპერტმა მანამა ლობჟანიძემ განაცხადა, რომ ყველა საერთაშორო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის და ღირებულებების გაფართოვებაზე, პროგრამა არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ პროფილური დისციპლინების შესწავლაზე, უნივერსიტეტმა სტუდენტს უნდა მისცეს ღირებულებები და მოახდინოს მათი ფორმირება. ამიტომ ისეთი საგნების შესწავლა, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, კულტუროლოგია, კულტუროლოგიის საფუძვლები, სახელმწიფოს საფუძვლები, ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა ისწავლებოდეს ყველა პროგრამაში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ეკონომიკის პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა იმუშაოს ორი მიმართულებით, ფინანსურ ინსტიტუტებში ან პოლიტიკის ფორმირებაზე იმ ორგანიზაციებში რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ დოქტრინაზე მუშაობს. აღნიშნულიდან გამომდინარე მისი რჩევაა საგნები გამდიდრდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებით და ასევე საქართველოს მაგალითებით, ამა თუ იმ ეკონომიკურმა ცვლილებამ თუ რა შედეგები მოიტანა. ასევე ცოტა გასაძლიერებელია ფინანსების სწავლება, ვინაიდან ფინანსები დამოკიდებულია ეკონომისტების პროგნოზზე, საუბარია თანამედროვე ფინანსებზე. დღევანდელ დღეს ფინანსები წარმოუდგენელია ეკონომიკური ექსპერტიზის, პროგნოზის გარეშე. საუბარი არ არის ტექნიკურ ფინანსებზე.

ექსპერტმა ეკატერინე გეგეშიძემ განაცხადა, რომ სილაბუსით აღნიშნული საკითხები ძალიან კარგად არის გაწერილი. ასწავლიან მონეტარულ მაკროეკონომიკურ საკითხებს ეკონომიკის თვალთახედვიდან.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ გაუმჯობესება შესაძლებელია წმინდა ეკონომიკის თვალსაზრისით, ეკონომიკური კვლევებით, გათვალისწინებული იყოს ეკონომიკის გავლენა ფინანსურ ბაზრებზე, ასევე ფინანსების ცვლილებები ეკონომიკაზე. გლობალიზაციის ფონზე აღნიშნულის გაკეთება ძალიან მარტივია ვინაიდან არის თავისუფალი წვდომა ინფორმაციაზე. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს იყოს მეტად კონკურენტუნარიანი. კვალიფკაციაზე გასვლა სტანდარტული საგნებით არ წარმოადგენს პრობლემას.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ რიგ კურსებში გადასამუშავებელია სწავლის შედეგები ვინაიდან არ შეესაბამება ბაკალავრის დონეს. მაგალითად, „სოციალური პოლიტიკა" სადაც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ბაკალავრისთვის არის, რომ პროგნოზირებს სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. შესამუშაბელია ქცევის ეკონომიკის სილაბუსი, ხოლო შრომის ეკონომიკა გადმოსატანია სავალდებულო კურსებში, რიგი კურსები გადასატანია არჩევით სასწავლო კურსებში.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მაგალითად „ინოვაციური ეკონომიკა“ რომელიც უფრო ბიზნესის ადმინისტრირების კურსია და ნაკლებად ეკონომიკის სილაბუსის მიხედვით. ასევე ეკონომიკური ზრდაც ცოტა რთულია ბაკალავრებისათვის. სავალდებულო კურსად შეთავაზებულია „საერთაშორისო ეკონომიკა“ სადაც დამხმარე ლიტერტაურა მსოფლიო ეკონომიკიდან და ასევე არჩევით კურსად შეთავაზებულია „მსოფლიო ეკონომიკა“. დასკვნაში აღნიშნულია, რომ სტუდენტების თხოვნა იყო პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება. სილაბუსები იძლევა შესაძლებლობას გაძლიერდეს „ქეისებით“ და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით. კარგია რომ ეკონომეტრიკაში ისწავლება STATA, თუმცა, კარგია ასევე მიეცეს სტუდენტს შესაძლებლო ისწავლოს Eview. სხვადასხვა ბლოკში არის გადასატანი ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის არჩევითი კურსი, რადგან თუ ქცევის ეკონომიკა დაემატება სავალდებულო კურსებს, ფსიქოლოგიის საფუძვლები არის წინაპირობა და არჩევითობა გამოიწვევს იმას, რომ არ იქნება წინაპირობა. სოციოლოგიის საფუძვლები არის სოციალური პოლიტიკის და სოციალური ეკონომიკის წინაპირობა და თუ ერთ ერთი იქნება არჩევითი აქაც დააკლდებათ წინაპირობა. თუ გაერთიანდება სოციოლოგიის კურსები და შეთავაზებული იქნება ერთიანი კრედიტი არჩევითში, ბევრი კარგი საგნისათვის გამონთავისუფლდება ადგილი. მაგალითად როგორიცაა „ინტეგრაციის ეკონომიკა“, რაც აძლევს გამოხმაურებას საქართველოს ხელშეკრულებებს ევროკავშირთან. ასევე გლობალური ბაზრის და საერთაშორისო ვაჭრობის გააზრება და საფუძვლების შესწავლა, კარგი იქნება განათლების ეკონომიკის სწავლა. როდესაც ვთავაზობთ ეკონომიკის პროგრამას უნდა ავირჩიოთ გარკვეული სკოლა რომლის აპოლოგეტი შეიძლება გახდეს პროგრამა. კარგი იქნება განვითარების ეკონომიკის შეთავაზება.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ განაცხადა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსად გათვალისწინებულია სამეწარმეო სამართალი, საგანს კი ჰქვია „სამეწარმეო სამართლის საფუძვლები“ მაგრამ აქვს საკორპორაციო სამართლის შინაარსი და აღნიშნული აუცილებლად იქნება შესაცვლელი. მას დაინტერესა რაში დასჭირდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას სამეწარმეო სამართლის საფუძვლები. თუ კი უნივერსიტეტს უნდოდა სამართალთან და რეგულირებასთან რაიმე სამართლებრივი საგნის შემოღება, გაცილებით უპრიანი იქნებოდა საჯარო და კერძო სამართლის მიჯნაზე მყოფი სამართლის დარგები ვიდრე წმინდა კერძო სამართლებრივი. სილაბუსი თავისი შინაარსით არის კლასიკური საკორპორაციო სამართალი.

ექსპერტმა ეკატერინე გეგეშიძემ განაცხადა, რომ ეკონომიკური მეცნიერება შედგება ორი დიდი ნაწილისაგან, მაკრო და მიკრო ეკონომიკისაგან. მიკროეკონომიკური ანალიზისათვის ერთ ერთი ფუნდამენტური საკითხი არის რა სამართლებრივ ფორმაში არის შესრულებული. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესი განსხვავდება მიკროპროცესების დონეზე, იგივე რისკის შეფასების დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც განიხილავენ „ქეისებს“ მიკროეკონომიკაში მნიშვნელოვანია თუ რა სახის საწარმოზეა საუბარი. სილაბუსი და შინაარსი ექსპერტს არ მოეჩვენა ზედმეტად ეკონომიკის სპეციალობისათვის, თუმცა არ საუბრობს თავად სილაბუსის სათაურზე. კურსი არის სავალდებულო რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას ერკვეოდეს მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებში.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ განაცხადა, რომ ნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხები შეთავაზებული იყოს არა სამართლის კუთხით, არამედ სამეწარმეო თვალსაზრისით, რომელსაც ექნება უფრო ეკონომიკური ასპექტები.

ექსპერტმა ეკატერინე გეგეშიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა თავი შეიკავა უნივერსიტეტისათვის შეეთავაზებინა სხვადსხვა არჩევითი საგნების დამატება, ვინაიდან პროგრამას ჰყავს ცოტა სტუდენტი და ამან შეიძლება ვერ უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა. მოცემულობის მიხედვით სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის პროგრამაში არის ნორმალური ბალანსი.

სათათბირო შესვენება:17:00

სხდომა განახლდა: 17:10

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭენის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) გაძლიერდეს სიტუაციური ანალიზით, პრაქტიკული მაგალითებით სწავლება;
ბ) საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულ იმ სფეროზე, რომელიც კავშირშია ამავე პროგრამის კვალიფიკაციასთან და დასაქმების სფეროსთან (ამ შემთხვევაში ეკონომიკასთან).
გ) გადამუშავდეს სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლების დონესთან;
დ) საგანმანთლებლო პროგრამაში აისახოს შრომის ეკონომიკის საკითხები;
ე) „ქცევის ეკონომიკა" განისაზღვროს როგორც სავალდებულო კურსი და მის წინაპირობად განისაზღვროს "ფსიქოლოგიის საფუძვლები";
ვ) „ინოვაციური ეკონომიკა" მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის ძირითად სფეროსთან;
ზ) საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს "მენეჯერული ეკონომიკის" საკითხებით;
თ) რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის სწავლებასთან დაკავშირებით.

რჩევები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამამ გაითვალისწინოს საკითხები, რომელიც შეეხება ევროინტეგრაციის სფეროში ეკონომიკის სფეროს მნიშვნელობა, როლი და განვითარება; საერთაშორისო მარკეტინგი; განათლების ეკონომიკა; ეკონომიკის სფეროს განვითარების ტენდენციები;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამამ გაითვალისწინოს კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები, კერძოდ, ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე ფინანსური ინსტიტუტებისა ან ორგანიზაციების, დასაქმების პოზიციებზე მოთხოვნები. შესაბამისად, უფრო მეტი არჩევითი საგნები იყოს შეთავაზებული, რომ სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდეს ეკონომიკის სფეროს სხვადასხვა მიმართულებებიდან არჩევის და შესაბამისი თემატიკის დაუფლების შესაძლებლობა;
გ) ელექტრონულ რესურსებთან ერთად ძირითადი სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს, როგორც ელექტრონული, ასევე, ბეჭდვითი სახითაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის

პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა 7 წლით აკრედიტაცია, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

4. მეოთხე საკითხი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[20]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2014 წლის 26 ნოემბერი, №221
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[23]	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი[24]	საქართველო, ქ. გორი, 1400, ჩერქეზიშვილის N1, სასწავლო კორპუსი N3.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების

---

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[23] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[24] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგები იყოს არაუმეტეს ათისა და იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ თითოეული მათგანი იყოს გაზომვადი;
- ვინაიდან დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც პროგრამის შემუშავების ასევე მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, აუცილებელია, თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყოს სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი;
- დაწესებულება მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიკაციას, რაც მას საშუალებას მისცემს ზუსტად დაინახოს თუ რა ეტაპზეა ამჟამად და რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ უკეთ უზრუნველყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;
- მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაზუსტება, მაგ. უცხო ენის ნაწილში, ინგლისური ენის სავალდებულო მოთხოვნა, ხოლო მათემატიკა/ისტორიის ნაწილში მათემატიკის სავალდებულო მოთხოვნა, რაც ლოგიკურად დაკავშირებდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსის წინაპირობად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები ან მისი ინტეგრირება უნდა მოხდეს უკვე შეთავაზებულ სასწავლო კურსში - ფინანსური აღრიცხვა;
- პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშავონ სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ზრდადი რუბრიკებით იქნება ასახული თითოეული სასწავლო კურსის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ კრედიტების განაწილების მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას სწავლის შედეგების მიღწევის სირთულეებთან დაკავშირებით;
- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტებთან აქტიურად გამართონ შეხვედრები და მოახდინონ მათი ინფორმირება იმ უფლებების შესახებ, რომლებიც მათ გააჩნიათ და მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია ამა თუ იმ პროცედურის განხორციელების შესახებ (მაგ. გასაჩივრების პროცედურის შესახებ);
- სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით ბიბლიოთეკა, ელექტრონულ რესურსებთან ერთად ძირითადი სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბეჭდვითი სახითაც;
- ხარისხის განვითარების სამსახურმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში უნდა გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და ფაკულტეტის საბჭოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და მიღწევის მაჩვენებლებს;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია პროგრამის ხარისხის ამაღლებისათვის გარე შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოძახილები,

მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების შეფასებები) მოსაზრებების, შენიშვნების და წინადადებების მიღება. ასეთი შეფასებები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითიც, აღნიშნული ეხება იმ სტუდენტების დახმარებას, რომელთაც სურთ ვარშავის უნივერსიტეტთან არსებულ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. უნივერსიტეტი სტუდენტებს სრულად უფინანსებს პოლონური ენის კურსებს, ასევე დაწესებულება ეხმარება მათ გამგზავრებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ციური დურულმა განაცხადა, რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებამ საბოლოო დასკვნის მიღებამდე გამოაგზვნა ცენტრში წერილი არგუმენტირებული პოზიციის თაობაზე რეკომენდაციებთან მიმართებით, თუმცა როგორც ჩანს მათი მოსაზრებები არ იყო გათვალისწინებული და რეკომენდაციები დარჩა დასკვნაში, აღნიშნული არის საკმაოდ უცნაური. მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სწავლის შედეგებს განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რაოდენობის შესახებ მითითება არ არის გაწერილი არცერთ ნორმატიულ აქტში, არც აკრედიტაციის სტანდარტებში. თუმცა სამომავლოდ, როდესაც პროგრამა მოერგება ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოხდება სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია. მისი მოსაზრებით აღნიშნული არის უფრო რჩევა ვიდრე რეკომენდაცია. რაც შეეხება რეკომენდაციას დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესახებ, მათ წარმოდგენილი აქვთ ოქმები, რომელიც ერთვოდა ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშს, სადაც დაწვრილებით არის ასახული თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შესახებ. შეხვედრები იმართებოდა უწყვეტ რეჟიმში და მასში მონაწიელობდა, როგორც აკადემიური პერსონალი ასევე სტუდენტებიც, თუმცა აკრედიტაციის სახელმძღვანელოს თანამხად, თვითშეფასების ჯგუფში უნდა შედიოდნენ აკადემიურ და ადმინისტრაციული პერსონალი. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციაც სასურველია გადავიდეს რჩევის სახით. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებს ადგენს პროგრამაში და თვითშეფასების შემუშავებაში ჩართული პირები და არა დაწესებულება, გასაუმჯობესებელ მხარეში იგულისხმებოდა სწავლის შედგებთან დაკავშირებული საკითხი, როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა თვითშეფასების ანგარიშზე და პროგრამის განვითარების სტრატეგია განიხილებოდა, იყო საუბარი იმაზე რომ მოხდეს არა მარტო სწავლის შედეგების შეფასება, მიღწევის შეფასება იმ სახით როგორც აღნიშნულ ეტაპზეა, არამედ დაიხვეწოს პროგრმაში და სილაბუსებში გაწერილი შედეგები, მოხდეს უფრო მეტად თანხვედრა და განვითარება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გასაუმჯობესებელ მხარეებში გაწერა არ მიუთითებს დაწესებულების მხრიდან უპასუხისმგებლო მიდგომაზე. რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, თუ ერთ შემთხვევაში არ თვლიან საჭიროდ დაშვების წინაპირობად ინგლსური ენის მოთხოვნას, რაც ასევე არ იკრძალება კანონმდებლობით, მეორე შემთხვევაში სწავლების შემდგომ ეტაპზე სტუდენტები გაძლიერებულად სწავლობენ ინგლისურ ენას, რაც შესაბამისად საფრთხეს არ ქმნის მათი ინგლისური ენის კომპეტენციის თვალსაზრისით. ის სტუდენტები, რომლებიც აბარებს სხვა ენას, იწყებენ სწავლას საწყისი დონიდან. სტუდენტები გადიან ორ კურსს საწყისი დონის და შემდეგ გადიან პრაქტიკულ კურსს და სრულდება დარგობრივით. საბოლოო ჯამში სტუდენტები აგროვებენ 35 კრედიტს აღნიშნული სწავლების ფორმატით. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონში არის რამოდენიმე სკოლა სადაც ისწავლება ფრანგული და გერმანული ენა. თუ წინაპირობად განისაზღვრება მხოლოდ ინგლისური ენა, ასეთი კატეგორიის აბიუტურიენტებს ეზღუდებათ პროგრამაზე მოხვედრის შანსი. რაც შეეხება მათემატიკის სავალდებულო მოთხოვნას, დაწესებულების წარმომადგენელმა სპეციალურად ნახა ყველა სასწავლებლის განაცხადი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებზე და გამოიკვეთა რომ 98% უნივერსიტეტს, მათ შორის წამყვან უნივერსიტეტებს და ასევე იმ უნივერსიტეტს სადაც თავად მოღვაწეობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე მესამე საგნად მოთხოვნილი აქვთ, როგორც ისტორია ასევე მათემატიკა. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია შინაარსობრივად არის რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა ციური დურულმა რეკომენდაციაზე, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სწავლების რუკის შემუშავებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა დაწესებულებას გადმოგზავნილი ჰქონდა ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადთან ერთად, სადაც დეტალურად არის გაწერილი შედეგები. ასევე სილაბუსებშიც არის ჩაშლილი თუ რომელი კომპეტენციებით გადიან სწავლის შედეგზე კონკრეტული კურსები. დოკუმენტში გაწერილია სამიზნე ნიშნულები შესაბამისი შეფასების მეთოდების მითითებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით განსაზღვრულია პროგრამის თითოეული კომპონენტის განხორციელების შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებას. სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კრედიტების მინიჭება თითოეული სასწავლო კურსისათვის. ამის დასტურია აკადემიური მიღწევების მონიტორინგის შედეგები. რაც შეეხება რეკომენდაციას პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გასაჩივრების პროცედურაზე სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში სისტემატურად ხდება სტუდენტების ინფორმირება პირველივე დღიდან იმ უფლებების და შიდა რეგულაციების შესახებ რაც არის უნივერსიტეტში. გასაჩივრების პროცედურა გაწერილია, შემუშავებულია შიდა აქტი, შესაძლებელია იმ სტუდენტებს, რომლებიც ესწრებოდნენ ინტერვიუს არ ჰქონიათ გასაჩივრების აქტივობა შესაბამისად არ იცოდნენ დაწვრილებით პროცედურები. რაც შეეხება რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ სტუდენტებს სახელმძღვანელოები მიეწოდოთ ბეჭდვითი სახითაც, აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ლიტერატურა, რომელიც მითითებული იყო დამატებით ლიტერატურაში წარმოდგენილი ვერ იქნა ექსპერტების ბიბლიოთეკაში სტუმრობის დროს მოძიებული. დანარჩენი ყველა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა წარმოდგენილი იყო ელექტრონული ან ბეჭდური სახით. ის რომ აუცილებლად ლიტერატურა წარმოდგენილი უნდა იყოს ბეჭდური სახით არ არის მოთხოვნილი არც აკრედიტაციის და არც ავტორიზაციის სტანდარტით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მიდოდაშვილმა ხარისხის სამსახურთან დაკავშირებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თუ გადახედავდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მეხუთე სტანდარტის 5.3 კომპონენტის აღწერილობით ნაწილს, დაინახავდნენ ერთგვარ აცდენას რეკომენდაციასა და ჩანაწერს შორის. რაც შეეხება რეკომენდაციას გარე შეფასებების შესახებ, განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება არ არის გარე შეფასება, და რეკომენდაცია უმჯობესია იყოს მოცემული მეოთხე სტანდარტში. ასევე ერთ-ერთ რეკომენდაციაში მითითებულია შეცდომით „ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამა, რაც არის ტექნიკური ხარვეზი და უმჯობესია ექსპერტების მიერ დასკვნა იყოს შესრულებული მეტი ყურადღებით. პროგრამას გავლილი აქვს გარე შეფასება, ამის შესახებ ჩანაწერი მოცემულია თვითშეფასების სათანადო პუნქტში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ, ინგლისურ ენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტების და ასევე დაწესებულების მოსაზრებასაც. უნივერსიტეტს ტექნიკურად შეუძლია მიიღოს სტუდენტი ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენითაც, მაგრამ მიუხედავად ამისა კარგი იქნება თუ ექსპერტების რეკომენდაცია სხვა კუთხით იქნება შეფასებული. ყველა სტუდენტს უნდა მისცენ ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა და შესთავაზონ სპეციალური კურსები იმათ ვინც არ ფლობს ინგლისურ ენას, იმისათვის, რომ იმ კურსებში სადაც ინგლისური სახელმძღვანელოებია მოცემული შემლონ ინტეგრირება და იყვნენ კონკურენტუნარიანები. პროგრამაში ასევე არის გათვალისწინებული საგანი „კომპიტერული ბუღალტერია", კურსის სახელწოდება ჟღერს ცუდად, ამიტომ უმჯობესია გამარტივდეს კურსის დასახელება და ეწოდოს „Orisi"-ს პრაქტიკული კურსი. ასევე კარგი იქნება სილაბუსებში ინტეგრირებული იყოს პრაქტიკული სიტუაციები, რომელიც განხილული იქნება სხვადასხვა საგნის ჭრილში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ციური დურულმა, ინგლისურ ენასთან დაკავშირებით დამატებით განმარტა, რომ სასწავლო გეგმის აღწერილობით ნაწილში გაწერილია, რომ სავალდებულოა სხვა უცხო ენით ჩარიცხული სტუდენტისათვის ორი საწყისი კურსი და შემდეგ დამატებითი პრაქტიკული და დარგობრივი ინგლისურის კურსი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ ერთ ერთი კურსის სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია ინგლისური ენა. აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის საწყისი ცოდნით სტუდენტი ვერ შეძლებს სავალდებულო ლიტერატურის დამუშავებას, შესაბამისად რეკომენდაციის აზრიც ალბათ ამაში მდგომარეობს. რაც შეეხება რეკლამა და პრომოციის საგანს, მითითებული ლიტერატურა კარგია, თუმცა სხვა ლიტერატურასაც თუ შესთავაზებენ კარგი იქნება პროგრამისათვის.

სათათბირო შესვენება:17:10

სხდომა განახლდა: 17:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭენის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს და დაზუსტდეს ისე, რომ იყოს გაზომვადი;

ბ) „ფინანსური აღრიცხვის" სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" ან მისი ინტეგრირება მოხდეს უკვე შეთავაზებულ სასწავლო კურსში „ფინანსური აღრიცხვა";

გ) ხარისხის განვითარების სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და მიღწევის მაჩვანებლების თაობაზე.

დ) საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულ იმ სფეროზე, რომელიც კავშირშია ამავე პროგრამის კვალიფიკაციასთან და დასაქმების სფეროსთან;

ე) რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის სწავლებასთან დაკავშირებით.

ვ) გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლება, განსაკუთრებით სიტუაციური ანალიზის დამატების ხარჯზე;

ზ) მოხდეს საგნის ,,კომპიუტერული ბუღალტერიის" სახელის შესწორება მაგ: ,,ორისის პრაქტიკული კურსი''.

რჩევები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა სასურველია შეიმუშაონ კრედიტების განაწილების მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვას სწავლის შედეგების მიღწევის სირთულესთან დაკავშირებით;

ბ) ელექტრონულ რესურსებთან ერთად ძირითადი სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს, როგორც ელექტრონული, ასევე, ბეჭდვითი სახითაც;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოძახილები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების შეფასებები) მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ასეთი შეფასებები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა. პროგრამის სწავლის შედეგები სასურველია ჩამოყალიბდეს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე;

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ე) სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაზუსტება, მაგ. უცხო ენის ნაწილში, ინგლისური ენის სავალდებულო მოთხოვნა, ხოლო მათემატიკა/ისტორიის ნაწილში, მათემატიკის სავალდებულო მოთხოვნა, რაც ლოგიკურად დააკავშირებდა პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
ვ) კარგი იქნება თუ დამამთავრებელი, მეოთხე კურსის სტუდენტების ლექციები ჩატარდება დღის მეორე ნახევარში, რათა მათ თავისუფლად შეძლონ გაიარონ სტაჟირებები ან იმუშაონ გამოცდილების მიღებისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 17:50 საათზე.

თავჯდომარე **ირაკლი ბურდული**

მდივანი **ნიკოლოზ კიკნაძე**